სამშაბათი, მაისის 20 1919 წ.

ფასი 1 მანეთი.

№ 90.

წელიწადი მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

განცხადება

ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობა აცხადებს, რომ 22 მაისს ხუთშაბათს დილის ათ საათზე ერობის ბინაზე დანიშნულია.

საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც ერთი წლის ვადით იჯარით გაიცემა **კურსების და ხრესილის** ყოფილი ქარქაშაძეების, ობოლაძის, ჟორჟოლაძის და უგრეხელიძეების **გოგირდის აბანოები.** პირობების გაგება შეიძლება ერობაში საადგილ-მამულო განყ. გამგე **გრ. ნუცუბიძესთან.**

4—2 **ქუთ. სამ. ერობ. გამგეობა.**

ოთხშაბათს, 21 მაისს საღამოს 7 საათზე

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ბინაზე დანიშნულია

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის

საგუბერნიო კომიტეტისა და ქალთა წრის შეერთებული

კრება.

გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები და მათ შორის საკითხი

26 მაისის დღესასწაულის შესახებ.

კომიტეტისა და ქალთა წრის წევრებს ვსთხოვთ კრებას ნუ დააკლდებიან.

2—1.

განცხადება

16 მაისს ქალაქის ფოსტით მომივიდა წერილი. წერილი გამოგზავნილია ვლადივასტოკიდან ან ხარბინიდან ჩემი ძმის მიერ 2-ს თებერვალს იმ იმედით, რომ წერილის წამომღები მაგიერს წერილს წაიღებდა. ვინაობა იმ პირის არ წერია და ამისთვის ვთხოვ იმ პირს, ვინც ეს წერილი ჩამოიტანა, დამავალოს და მნახოს ბინაზე, ან თუ ვინმემ იცის ეს ჩამოსული პირი ვინ არის, ვთხოვ მაცნობოს. ჩემი ადრესი: **პელაგია ლოგრიას ასული,** ბაღის ქუჩის მეორე შესახვევი, 1—1 საკუთარი სახლი.

კბილის ექიმი ნ. ა. მხეიძე ღებულობს ავადმყოფებს დილით 9—3 საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის სახლი. 24—5

ექიმი ბიკტორ ნიკიფორეს ძე ხუსკივაძე ღებულობს ავათმყოფებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 საათამდე. ძველი თბილისის ქუჩა, ქორქაშვილის სახლი. 24—9

ექიმმა ი. ჩარექოვმა განაახლა ავადმყოფების მიღება. იღებს მხოლოდ **კანის და ვენერიულ** ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდის, საღამოს 6—8-დის. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლი. 24—6

ექიმი მედიცინისა საზღვარგარეთელი უნივერსიტეტ. **ფ. ი. კაკიტელაშვილი** ღებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარდის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606 და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა. საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ზაფის ნაცვლად.

კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ვილსონმა გერმანიას ისეთი დამამცირებელი საზავო პირობები წარუდგინეს, რომ უეჭველია თვითონვე იცოდენ წინდაწინ, გერმანია რომ ხელს არ მოაწერდა ამ პირობებს.

როგორია ეს პირობები? გერმანია გამარჯვებული სახელმწიფოების მოხარკედ უნდა გახდეს და მათს ზედამხედველობას უნდა დაექვემდებაროს!

ხარკის სიმძიმე კი აფტანელი, განმანადგურებელი იქნება!

ამგვარ პირობებში გერმანიის კულტურა ტ ცივილიზაცია მოისპობა და კაცობრობის ისტორიას პროგრესის მესვეური დააკლდება.

გერმანიის ერის ყველა ნაწილი ერთხმად აღნიშნავს, ეს საზავო პირობები—ძულებისა ტ შურისძიების შედეგიაო; გავწყდებით და ამგვარ ზავს(!) არ მივიღებთო.

და გერმანიის დამფუძნებელმა კრებამ საზავო პირობები ერთხმად უარჰყო.

მაშ კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ვილსონმა ევროპასა და მთელ მსოფლიოს ზავის ნაცვლად ახალი ომი მიაწოდეს.

მაგრამ როლები შეიცვალა. დღეის იქით სამართლიანობისა თანასწორობისათვის მებრძოლის როლში გერმანია გამოდის. ეს არის მისი დიდი უპირატესობა.

მართალია, ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის მხრით მეტია სამხედრო ძალა, იარაღი და სურსათი; მაგიერად გერმანიის მხრით მეტი იქნება ერთსულოვნება, ომის მიზნის შეგნება და სამართლიანობა. და გერმანიას უეჭველია გაცილებით უფრო ცოტა დააკლდა მით, რაც წაართვეს, ვიდრე შეეშალა მათ, რომ დღეს გერმანიის ერი ერთის გრძნობით შედუღებულია.

რატომ არის ეს საშიშარი გამარჯვებული სახელმწიფოებისათვის? მიტომ, რომ ტლანქი, ვიწრო მეწვრილმანური პოლიტიკა იქაც ადვილად დაუთმობს ალაგს ინტერნაციონალურ მიმართულებას. ერნი თავის მთავრობათ აუჯანყდებიან და საერთაშორისო ზავის საქმეებს ისეთს მოდვაწეთ მიანდობენ, რომელთაც საერთაშორისო ურთიერთობისაგან შექმნილი პირობები უკეთ შეუგნიათ.

მაშ გამარჯვებული კოალიციის დემოკრატიის დიდი ნაწილის თანაგრძნობა გერმანიის მხარეზე იქნება: აქ მარხია გერმანიის გამარჯვების შესაძლებლობა.

მაგრამ გერმანიას, რასაკვირველია, მხოლოდ იმპერიალისტების დამარცხება შეუძლია. ხალხნი კი ერთმანეთს შეურიგდებიან.

არავინ იფიქროს კი, რომ აჯანყებანი საფრანგეთ-ინგლისში სოციალიზმით დაბოლოვდებიან.

მხოლოდ დემოკრატიული რეფორმებსა შესაძლებელი: დიდი მამულების დანაწილება, მუშათა კავშირების უფლებათა გაძლიერება და სხ. მაგრამ ამ რეფორმებს ხომ საერთო არა აქვს-რა სოციალიზმთან!

მაშ კიდევ ვიტყვი: სულ სხვაა საერთაშორისო სამართლიანობა ან ინტერნაციონალიზმი და სულ სხვაა სოციალიზმი. „იგი სხვაა, ეს სულ სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი“.

ვასილ წერეთელი.

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ.).

27 მაისი

ფრანგული პრესის ცნობები.

ოთხშაბათს ეკონომიურმა საბჭომ გადასწყვიტა უნგრეთში პოლიტიკურ მდგომარეობის გამორკვევამდე ეკონომიური შეზღუდვანი არ გააუქმოს. საბჭო იხილავს ახალ ზომებს, რომელიც უნდა განახორციელონ იმ შემთხვევაში, თუ გერმანიამ ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა.

ინგლისური პრესის ცნობები

კლემანსომ დღეს გერმანიიდან მიიღო რამდენიმე დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ, რომ გერმანელებს ავსტრიელებთან თავისუფლად თათბირის უფლება მისცენ.

განკარგულებაა გაცემული, რომ ავსტრიელებს ნება არ მისცენ ითათბირონ გერმანელებთან, რომლებიც ვერსალში დარჩნენ. ავსტრიელებს ნება დართეს თავისუფალი მიწერ-მოწერა ჰქონდეთ თავის მთავრობასთან.

განზრახულია, რომ ოთხშაბათს სმირნაში გადასხამენ საბერძნეთის ჯარის 1-ლ დივიზიას არტილერიით და სხ.

გერმანიაში ბევრი ცდილობს აღადგინონ ბალშევიკური განწყობილება, რომელსაც ბევრ ქვეყანაში ხელს უწყობენ.

გაზ. „ტანის“ ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება, რომ მას შედეგ, რაც გერმანელებმა ფინეთზე და ესტლანდიაზე ჯავლენა დაჰკარგეს, ისინი ცდილობენ ლიტვა და ლიფლიანდია თავისი დაპყრობითი პოლიტიკის იარაღათ გადააქციონ. ლიბავის გადატრიალების შედეგები, მიუხედავათ მოკავშირეთა ძალდატანებისა, საბოლოოთ მაინც არ გამქრალა. გერმანელების ასეთმა საქციელმა საგრძნობლათ შებოჭა ლატიშების ბალშევიკების საწინააღმდეგო მოქმედება და საბჭოთა მთავრობას რიგაში გამაგრება შესაძლებელი გახადა.

გერმანული პრესის ცნობები

ეროვნულ ყრილობის ორშაბათის სხდომაზე ყველა პარტიის წარმომადგენლები აკრიტიკებდენ მოკავშირეთა საზავო პირობებს. დემოკრატიულ პარტიის წევრმა ჰაოსმანმა სთქვა, წარმოადგენელმა ზავმა დემოკრატია მოატყუაო.

დამოუკიდებელმა ჰაზემ სთქვა: „ჩვენ საფუძველი გვაქვს ენერგიული პროტესტი განვაცხადოთ, რადგან ყოველთვის, მაშინაც კი, როცა სამხედრო მდგომარეობა გერმანიის სასარგებლოთ იყო, ჩვენ სამართლიან ზავს ვუპერდით მხარს. მე დიდი მოხარული ვარ, რომ მოკავშირეთა სოციალისტები თავის მთავრობებს ებრძვიან, მაგრამ ვეჭვობ, რომ მათ ეხლა გაიმარჯვონ. მსოფლიო რევოლიუცია ახლოვდება და საზავო ხელშეკრულებას ის გადასინჯავს.“ ყრილობის თავმჯდომარემ ფერენბახმა სხდომის დახურვის წინ სთქვა, რომ გერმანელერის აზრი, საპარლამენტო წარმომადგენელთა გამოთქმით, შემდეგია: „წარმოდგენელი ზავი წმინდა წყლის ეგოიზმის, სიძულვილის და შურისძიების ნაყოფია და არავითარ შემთხვევაში იგი არაა ქრისტიანულ ერაში შეკრული ზავი“.

13 მაისს, პრუსიის, ეროვნულ ყრილობის სხდომაზე ძალადობის საფუძვლებზე შემუშავებულ ზავის საწინააღმდეგო პროტესტები გამოითქვა. ცენტრალური პარტიის წევრმა ჭეროლდმა სთქვა, რომ განსაკუთრებით პრუსიამ უნდა იბრძოლოს წარმოდგენილ პირობების წინააღმდეგო. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ოდესდაც განაცხადეს, რომ ისინი გერმანიის ხალხს კი არა, არამედ—კაიზერს და მილიტარიზმს ებრძვიან. ეხლა ჩვენ არ გვყავს არც კაიზერი, არც პრინცები, ჩვენ ქვეყნიერებაზე ყველაზე თავისუფალი კონსტიტუცია გვაქვს და, მიუხედავათ ამისა, მათ ისეთი ხელშეკრულება წარმოგვიდგენეს, რომელიც მშვიდობიანობამდის კი არ მიგვიყვანს, არამედ—გამოიწვევს ახალ ომს.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი მაისის 10. რუმინეთის ფრონტი. იაშპოლის რაიონში რუმინელები ჩვენს ნაწილებს უშენენ. ოდესასთან საფრანგეთის ნალმოსანი დადგა.

ეკატერინოსლავი. მაისის 14. გრიგორიევის ბრბო, რომელმაც დროებით ხელში ჩაიგდო ქალაქი, საბჭოთა ჯარმა განდევნა, 1000-ზე მეტ ყაჩაღს იარაღი აყარეს. ჩამოართვეს მრავალი თოფი, ტყვიისმფრქეველები, საბხედრო მასალა და ყუმბარები, რომელიც ფრონტზე გაიგზავნა. უკან დახეული გრიგორიევის ჯარი დევეშარცხეთ. კომელია კი ჩვენ დავიჭირეთ. აქ ჩვენ დაგვნებდა 500 კაცი.

ჩერნიგოვი. მაისის 14. ჩერნიგოვის მიდამოებში მომქმედი ყაჩაღთა ბრბო, რომელიც მშვიდობიან მცხოვრებთ ავიწროებდა. ამ დღეებში დაიჭირეს და დახვრიტეს. ყაჩაღებს შორის იყო რამოდენიმე ჰეტლიურას მომხრე და ავრეთვე დედაკაცები. ეს უკანასკნელები საბჭოს პარტიულ მუშაკების გაცემის მიზნით მოქმედებდენ.

იალტა. მაისის 10. შესდგა მაქმადიანთა მიტინგი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო მესამე ინტერნაციონალის წევრმა მუსტაფა სიუხიმ. გამოტანილი რეზოლიუცია საბჭოთა ძალა-უფლებას და მთელი ქვეყნის რეზოლიუციას ესალმება.

ოდესა. მაისის 15. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ინახულეს შვეიცის, ნიდერლანდიის, დანიის, შვეიცარიის, სპარსეთის და საქართველოს ელჩმა: ყველას სახელით საქართველოს ელჩმა განაცხადა, რომ ელჩების წასვლის შემდეგ უკანასკნელები უცხოელ მოქალაქეთა და მათი ქონების დაცვას გადასცემენ აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც სახელმწიფო ძალების წარმომადგენლებს. ელჩმა შეამდგომლობა აღძრეს გემებზე წასვლის ნება დართონ, რომლებიც (გამოტოვებულია)... იმავე დროს მათ პროტესტი განაცხადეს გერმანიის ელჩის დაპატიმრების გამო. აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა ფელდმანმა უპასუხა, რომ ელჩები უნდა წავიდნენ ცენტრალური მთავრობის განკარგულებით. გერმანიის ელჩი კი, რომელიც რადეკის სამაგიეროთ მძევლათ არის, განთავისუფლებული არ იქნება. უცხოელთა დაპატიმრება მოხდა მათი კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების გამო. 14 თებ. დეკრეტის ძალით.

ბუდაპეშტი, მაისის 15. ქალაქის უქონლობის გამო უნგრეთის მთავრობა იძულებულია შეაზიროს მრავალი გაზეთის გამოცემა.

პარიზი, მაისის 14. ინგლისსა და საფრანგეთ შუა მოლაპარაკებაა ეგვიპტეში და მაროკოში კაპიტულიაციის გაუქმების შესახებ.

მოსკოვი, მაისის 15. „პრავდაში" გრიგორიევის ლაღატის გამო მეშჩერიაკოვი აღნიშნავს, რომ აუცილებელია უკრაინაში პარტიზანულ რაზმების ლიკვიდაცია მოხდეს და შეცვლილი იქნეს რუსეთის დაგვარათ, რეგულიარულ ჯარით; პატიზანულ რაზმების უფროსები არა ერთხელ გადასულან მოწინააღმდეგის მხარეზე. გრიგორიევის ავანტიურა გაკეთილი ჩვენთვის.

26 მაისის გამო.

საჭიროა ეროვნული ტანისამოსები.

26 მაისის დღესასწაულის მომწყობ კომისიის მხატვრულ სექციას დავალებული აქვს ამ შესანიშნავ დღისათვის მოაწყოს კორტეჟი.

სექციის მთელი ძალ-ღონე იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მხატვრული ხასიათი მისცეს ამ კორტეჟს. ამისთვის კი საჭირო არის დახმარება ყველა საქართველოს მოქალაქეთა.

კორტეჟი შესდგება სამი სიმბოლიური ფიგურისაგან: 1 რევოლიუციის სიმბოლო, 2 საქართველოს დამოუკიდ. სიმბოლო და 3 ნაციონალურების სიმბოლო.

კორტეჟისთვის საჭირო არის ტანსაცმელები: ქართული, კახური, ხევსურული, ფშავური, სვანური, გურული, იმერული, მეგრული, აჭარა-მესხეთური (როგორც ვაჟების, ისე ქალების).

მხატვრული სექცია მიმართავს საქართველოს მოქალაქეთ თხოვნით, რომ ვისაც აქვს ნამდვილი ხასიათის აღნიშნული ტანთსაცმელები მოიტანონ სასახლეში შენობის გამგე ბ. აბაშვლთან. 20 ს. — საათამდე.

დღესასწაულის შემდეგ ტანთსაცმელები დიდის მადლობით დაუბრუნდებათ პატრონთ.

26 მაისის დღესასწაულის მომწყობ კომისიის მხატვრული სექცია.

სახალხო განათლების სამინისტროში.

წალკის სასწავლებელთა რევიზია. დაბალ სკოლათა მთავარ-გამგე ბ-ნი გ. ჭუმბურიძე ამ დღეებში მიემგზავრება წალკის შკოლების სარევიზიოთ.

სუსტ-მოწაფეებისათვის სწავლის ვადის გაგრძელება 15 ივნისამდე. დაბალ სკოლათა მთავარ-გამგემ ბ-ნ გ. ჭუმბურიძემ ნება დართო უმაღლეს დაწყებითი სკოლათა გამგეებს, განაგრძოს მეცადინეობა სუსტ მოწაფეებთან, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ამა წლის 15 ივნისამდე.

სამას მანეთიანი დახმარების შესახებ. განათლების სამინისტრომ აცნობა საშუალო და დაბალ სკოლათა გამგეებს, რომ სამას მანეთიანი დახმარება, მთავრობის მიერ დაწესებული სახელმწიფო დწესებულებათა მოხელეთათვის, ვრცელდება სახელმწიფო სასწავლებელთა მასწავლებლებზედ.

ბათომის ქართული გიმნაზია. სამინისტროს ცირკულიარი 24 აპრილის თარიღით № 3023 (შესახებ მეცადინეობის შეწყვეტისა და მოწმობის მიცემისა) განათლების სამინისტროს განკარგულებით ბათომის ქართულ გიმნაზიაზე არ ვრცელდება, რადგან იქ მეცადინეობა მხოლოდ მარტში დაიწყო.

უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების მოწაფეთა გიმნაზიებში მიღების წესი. განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის კურს დასრულებულთ, უფლება ეძლევათ შევიდენ ახალი ტიპის გიმნაზიის (მე-5-6-7-8 კლასები მხოლოდ) მეხუთე კლასში სრულებით უეგზამენოთ. ხოლო ძველი ტიპის (რვაკლასიანი დაწყებული პირველი კლასიდან) გიმნაზიის მეხუთე კლასში მიღებისათვის კი საჭიროა მათ გამოცდები ჩაბარონ უცხო ენებში.

განათლების სამინისტროს ახალი შტატები. ეს ერთი ხანია დამფუძნებელი კრების სარევიზიო კომისია მუშაობს განათლების სამინისტროს ახალი შტატების შესახებ. განზრახულია შტატების შემცირება. კომისიის აზრი ამ მოკლე ხანში მოხსენდება მთავრობას სახელმძღვანელოთ და შესაფერისი დადგენილების მისადებათ.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ტეხნიკური მიზეზის გამო ორ გვერდზე გამოდის.

→ დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის კრებამ 18 მაისს კავშირის თავმჯდომარეთ აირჩია პირველი გიმნაზიის დირექტორი ნ. მისაბიშვილი.

→ ახალი პოეზიის ანტოლოგია. დაიბეჭდა და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა „კორჩხიბის" გამოცემა „ახალი პოეზიის ანტოლოგია" წიგნი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და მოთავსებულია ახალ გაზდა მწერლების ნაწერები.

→ სახადი. როგორც იმერეთის სხვა და სხვა სოფლებიდან გვატყობინებენ გადამდები სახადი გაძლიერებულა და მცხოვრებთ მუსრს ავლებს.

→ უგვირგვინო მეფენი. ხუთშაბათს ქალაქის თეატრში გაიმართება მსახიობ კორიშელის წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ალ. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი".

→ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა დიდი სურათი (11×14 ფერშოკი): „საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა 12 მარტს 1919 წ. ნ. ნ, ჟორდანია ხელს აწერს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს". სურათი იბეჭდება ხუთ ფერი საღებავით. ფასი 6 მან. პროვინციიდან ვისაც სურს დაკვეთა, შეუძლია გამოგზავნოს სრული ღირებულება და დაიკვეთონ არა ნაკლებ ოცი სურათისა. ფასი იგივე 6 მანეთი რჩება, ხოლო გეგზავნა ჩვენის ხარჯით. ვინც ეხლავე დაიკვეთს სურათებს და ფულს გამოგზავნის, 26 თვის სურათები მიუვა. თფილისში სურათი გამოვა გასასყიდათ 26 მაისს. მისამართი: თფილისი, კალოუბნის ქ. № 5. სახელმწიფო სტამბა—ალ. არაბიძეს.

→ ქვრივი კესარია ბარქაია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაეკარგა ვაჟიშვილი სახელათ მიშა, უფერული და კბილები უსწორ-მასწორი, ხსენებული ბავშვი ყოფილა შაგირდათ ხარაზ ლადიკო ბერძენთან დედიდგან, რომ წავიდა ხაზეინთან ორშაბათს 13 მაისს, მას შემდეგ არა სჩანს ვთხოვთ თუ ვინმემ ნახოს შეგვატყობინოს მესხეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის შესახვევში.

პარტიული ცხოვრება.

ოთხშაბათს, 21 მაისს, საღამოს 7 საათზე, გაზეთი „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის ბინაზე დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და ამავე პარტიის ქალთა წრის შეერთებული კრება. გასარჩევია ფრიად საჭარო და საყურადღებო საქმეები. მათ შორის საკითხი: 26 მაისის დღესასწაულის შესახებაც, როგორც კომიტეტის ისე ქალთა წრის წევრებს ვსთხოვთ, ნუ დაიგვიანებენ და კრებას აუცილებლად დაესწრონ.

საერთო აფთიაქების გარშემო.

ერობის საყურადღებოთ.

საქართველოს დემოკრატია თავის ბატონ-პატრონი თვითვე შეიქნა. დღეს მას მისი სახელმწიფოებრივ ორგანოს უხთება მოქმედება მეტათ მძიმე და რთულს პირობებში. მაგრამ ვინაიდან იქ ყოველივე გვიადვილდება სადაც ჩვენა ვართ ჩვენი ბატონი და საქართველოს დემოკრატიულს რესპუბლიკას, თავისუფლების ფარგალში უხთება მუშაობა, ამიტომ რასიკვირველია, უნდა შევსძლოთ იმის გაკეთება, რომლის გაკეთებასაც მონობის დროს ვერ შევძლებდით. ამიტომ ერობის საქმეები რომ მოეწყოს საჭიროა წინდაწინ შემოქმედებითი ენერგიის დახარჯვა. საქართველოს წინმსვლელობის მუშაობა ეს არ წაგავს განათლებულს სახელმწიფოების ფარგლებში მუშაობას. ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია ყოველმხრივ და რომ ევროპას დავეწიოთ საჭიროა ისეთი გიგანტიური ნაბიჯი გადავდგათ, ევროპას ვუთანასწორდეთ ყველაფერში. ამიტომ კი უდაოა ყოველივე დაწესებულების დარგს სათავეში ყავდეს შესაფერი მცოდნე პირები „სპეციალისტები" და არა, „ყველა დარგის ბატონ-პატრონი პირები" რომელთაც ამ საქმის არაფელი გაეგების. დღეს მაზრაში ბლუძათ არის აფთიაქები სპეკულიანტების ხელში, რომლებიც ტყავს აძრობენ ხალხს, ამავე დროს ერობა აწარმოებს სააფთიაქო საქმეს მაზრაში და თუ რამე გაკეთდება მას ეს მხოლოთ ბრმა ფორტუნის საშვალებით. ჯერ საქმე არ გაკეთებულა და უკვე რომელიმე ერობის წევრი ამა თუ იმ აფთიაქს თავის გავლენის ქვეშ აყენებს; შესცვალეთ მოქმედების გეგმა, ინტრიგანობა რა საქმეა და მაზრის ერობის სააფთიაქო საქმის მიწყობა მიანდევით სპეციალისტებს. პროვიზორებს, რომლებიც სათანადოთ დააყენებენ ერობის სააფთიაქო საქმეს, მაშვინ ამ მხრივ თვით ერობის პრესტიჟიც საგრძნობლათ ამაღლდება მასსის თვალში როცა არსებითად საქმე გაკეთდება. თუ გვსურს ჩვენ ყოველივე დარგის აპარატი სისწრაფით ავამოძრაოთ, ამიტომ ყოველივე დარგს შესაფერი სპეციალისტი უნდა მიუჩინოთ, რაიცა მიზანშეწონილი იქნება დადებითი მუშაობისთვის.

პროვიზორი **ეს. მელაძე.**

კორესპონდენცია.

ს. სიქთარუა. (თერჯ. საზოგადოება) ერთი თვის წინ თერჯ. საზოგადოების სამმართველოში მოვიდა მთავრობისაგან მოწერილობა: აირჩეს თვითეულ სოფელში პირები, (ორი კაცი ან მეტი) რომლებსაც შეეძლოს აღწერა იმ მოქალაქეებისა, ვისაც ათას მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს: ღვინიდან, სიმინდიდან, ჯამაგირიდან და ან სხვა რაიმე—წყაროდან.

ალბათ ამ პირებს (ვინც სიაში იქნება შეტანილი) გადასახადი გაეწერებათ. საქმე რაშია: როცა მთავრობა განიცდის უკიდურეს გაჭირვებას ფინანსების მხრივ, როცა ხაზინა დაცარიელებულია, გადასახადი უნდა გადახდეს ყველას ვისაც შეძლება აქვს. სიქთარუაში აურჩევიათ ლუკა ჰატარაძე და კოტე სირბილაძე. (ვინ აირჩია მართალი გითხრათ არ ვიცი). ამ პირებს ისეთები დაუტოვებიათ სიაში შეუტანელნი, რომლებსაც არა თუ ათას მანეთზე მეტი ათასი მანეთი ექნებათ შემოსავალი, არამედ ორი იმდენი და მეტი. ამასთანავე „მეზობლებიას, ბიძაშვილობიას და ნათესაობიას" ჰქონია ადგილი აღწერის დროს. სიაში არ არის ავრეთვე არც ლუკა ჰატარაძე და არც კოტე სირბილაძე, რომელნიც ამ ჩამორჩენებიან სიაში შეტანილებს არაფერში. ს-სიქთარუაში სცხოვრობს სულ 208 კომლი. 208 კომლში სიაში შეუტანიათ მხოლოთ 62 კომლი. ნუ თუ იმ 146 კომლს, სიაში შეუტანლებს, შეძლება არა აქვთ გადასახადი გადაიხადონ? მე გარწმუნებთ, რომ ბევრი იმ 146 კომლში უკეთესი დაუტოვებიათ აუწერელი, ამ ვაჟბატონებს, ვინმე სიაში შეტანილები. 208 კომლში შეიძლება გამოჩნდეს 10 კომლი, რომლებსაც მართლა არ შეეძლება გადასახადის გადახდა და 40-50 კომლის ისეთი, რომლებსაც არ ექნებათ შემოსავალი 1000 მანეთზე მეტი.

დასასრულ არ შემიძლია არ მივმართო სიქთარუის მოქალაქეებს საყვედურით: საჭიროა ირჩეოდეს კაცი არა მიდგომით, არამედ ცოდნით და დაკვირებით. ის სია რომელიც შეუდგენიათ ამ პირებს ხელახლა შესასწორებელია.

ვ. ფუთურისპირელი

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

წრეფლმბეჭდავი „ძმობა" პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში